Gazgroup

16/07/2020

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

შპს „გაზ გრუპი“-ს (ს/კ 404534937) დირექტორი აჰმეთ აქისქალი (პ/ნ: 01901135596) ვაცხადებ თანხმობას, მიწის ნაკვეთზე მდებარე ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზირი #62; საიდენტ. კოდი: 01.72.14.034.318 გაცემული მშენებლობის ნებართვის ერთპიროვნული უფლებამონაცვლე გახდეს შპს „სენა“ (ს/კ: 406180458)

შპს „გაზ გრუპი“

დირექტორი: აჰმეთ აქისქალი

აღნაგობის ხელშეკრულება №SENA-GAZGROUP-1

ქ. თბილისი **30/04/2019 წელი**

შპს „სენა“ (ს/კ 406180458), შემდგომში - “მესაკუთრე”, წარმოდგენილი მისი დირექტორის გუნაი გულფიდანის (პ/ნ 57418309478, U 03413993, 01791020816) სახით და **შპს „გაზ გრუპი”** (ს/კ 404534937), შემდგომში - ”მეაღნაგე”, წარმოდგენილი მისი დირექტორის აჰმეთ აქისქალის (პ/ნ 01901135596) სახით, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობისა და ნების თავისუფალი გამოვლენის საფუძველზე ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 “მესაკუთრე“ გადასცემს, ხოლო “მეაღნაგე” აღნაგობის უფლებით დროებით სარგებლობაში იღებს შპს „სენას“ საკუთრებაში რიცხულ მიწის ნაკვეთს: მდებარე: ქ.თბილისი, სოფელი დიღომი; ფართი: 1020კვ.მ.; (საკადასტრო კოდი - 01.72.14.034.318, უფლების რეგისტრაციის თარიღი - 04/06/2018, №892018479493).

1.2 მეაღნაგის მხრიდან აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე შესრულდება შენობის მშენებლობა, რომელთაგან ერთი (დიღმის ტრასის მხარეს) კომერციული ნაწილია, რომელიც მოიცავს 4 სართულსა და სარდაფს, ხოლო მეორე (სოფელ დიღმის გზისკენ) საოფისე, რომელიც მოიცავს 9 სართულს. პროექტის მიხედვით, კომერციული ფართი შეადგენს 2 054,4 კვ.მ-ს; საოფისე ფართი-1851,7 კვ.მ-ს, სარდაფის ფართი-495 კვ.მ-ს, ხოლო საზაფხულო ფართი- 724,2 კვ.მ-ს. შესრულებული სამუშაოების დასრულების მომენტისათვის საოფისე ფართები უნდა იყოს თეთრი კარკასის, ხოლო კომერციული ფართები - შავი კარკასის მდგომარეობაში.

2. აღნაგობის საზღაური და ანგარიშსწორების წესი

2.1 წიანამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული აღნაგობის უფლების ღირებულება განისაზღვრება ყოველთვიური 100 (ასი) ლარით დღგ-ის გარეშე. სამშენებლო სამუშაოების დასრულებისთანავე მხარეებს შორის მოხდება ბარტერი. კერძოდ, „მესაკუთრე“ თავის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთს საკუთრებაში გადასცემს „მეაღნაგეს“, ხოლო „მეაღნაგე“ მის მიერ აშენებული ფართების 50%-ს საკუთრებაში გადასცემს „მესაკუთრეს“.

2.2 ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ფართების კონკრეტიზაცია მოხდება მშენებლობის დასრულების შემდგომ მხარეთა შორის გაფორმებული შეთანხმებით.

2.3 „მესაკუთრე“ პასუხისმგებლობას იღებს, მიღებული ფართების საკუთრებაში გადაცემისთანავე, აღნაგობის საგანი (მიწა [1020 კვ.მ.], საკადასტრო კოდი - 01.72.14.034.318) საკუთრებაში გადასცეს „მეაღნაგეს“.

3. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

3.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადად აიღება 4 (ოთხი) კალენდარული თვე, რომლის 2 (ორი) თვით გადაცილებაც არ განიხილება ამ პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების

დარღვევად. ამ პუნქტით გათვალისწინებული ვადა აითვლება შპს ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერსიდან სამუშაოების დაწყებისათვის საჭირო შესაბამისი ნებართვის მოპოვების მომენტიდან.

3.2 ხელშეკრულება დასრულებულად ჩაითვლება „მესაკუთრისათვის“ „მეაღნაგის“ მიერ აშენებული ფართების 50%-ის საკუთრებაში გადაცემის, ხოლო „მეაღნაგისათვის“ „მესაკუთრის“ მიერ მიწის ნაკვეთის საკუთრებაში გადაცემის მომენტი. ორივე მხარის მიერ საკუთრების უფლების გადაცემა უნდა დასტურდებოდეს საჯარო რეესტრის ამონაწერით.

3.3 სამუშაოს შესრულების ვადა გამოითვლება კალენდარული დღეებით, რომლებშიც არ მოიაზრება ის დღეები, როდესაც თბილისში ჰაერის ტემპერატურა არის +5 გრადუს ცელსიუსზე ნაკლები, ასევე წვიმიანი და თოვლიანი დღეები. აღნიშნული მიზეზების გამო მოცდენილი დღეების რაოდენობა დაემატება სამუშაოების განხორციელების პერიოდს.

3.4 თუკი სამუშაოების შესრულების პერიოდში ადგილი ჰქონდა წყალდიდობას, ბუნებრივ უბედურობებს, ხანძარს, ეკონომიკურ კრიზის ან სხვა ფორს-მაჟორულ სიტუაციებს, რომელთა გამოც შეუძლებელი გახდა სამუშაოების შესრულება, შესრულების ვადა გაგრძელდება აღნიშნული სიტუაციის აღმოფხვრისათვის საჭირო დღეების ოდენობით.

3.5 სამუშაოების შესრულების პერიოდი გახანგრძლივდება იმ შემთხვევაშიც, როდესაც, გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო, მიწის გათხრის სამუშაოებს (ტელეფონის, ინტერნეტის, დენის, ბუნებრივი აირის, კანალიზაციის, წყლის და სხვა გაყვანილობებისაგან ტერიტორიის გათავისუფლება) ან საჯარო თუ კერძო დაწესებულებებიდან (მერია, თელასი, წყალკანალი და სხვ.) ნებართვების მოპოვებას დაჭირდება იმაზე მეტი დრო, ვიდრე ეს წინასწარ იყო დადგენილი.

3.6 მშენებლობის შესრულების პერიოდი არ მოიცავს დღეებს, რომლის განმავლობაშიც, უფლებამოსილი ორგანოს მიერ სამშენებლო სამუშაოების წარმოების შეჩერების გამო ადგილი ჰქონდა სამუშაოების განხორციელებისაგან იძულებით მოცდენას. აღნიშნული დღეების ოდენობა დაემატება შამუშაოების შესრულების ვადას.

3.7 „მეაღნაგე“ უზრუნველყოფს ვალდებულებას, აუნაზღაუროს „მესაკუთრეს“ მისი ბრალით გამოწვეული ზიანი.

4. განსახორციელებელი სამუშაოების დაგეგმვა

4.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების განხორციელების გრაფიკი და დეტალები შემუშავდება „მეაღნაგის“ მიერ და შეთანხმდება „მესაკუთრესთან“.

4.2 „მეაღნაგე“ პასუხისმგებელია ამ ხელშეკრულებითა და ხელშეკრულების დანართებით გათვალისწინებული სამუშაოების სრულად და უნაკლოდ შესრულებაზე. სამშენებლო სამუშაოების განხორციელებისას „მესაკუთრისათვის“ მიყენებულ ზიანს, რომელიც გამოწვეულია „მეაღნაგის“ ბრალითა და შეცდომით აანაზღაურებს „მეაღნაგე“.

5. მასალები, აღჭურვილობა და მუშახელი

5.1 მშენებლობაში გამოსაყენებელი ყველა მასალის შეძენა ხდება „მეაღნაგის“ ხარჯებით.

5.2 ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ „მეაღნაგე“ თავისი ხარჯებით ამზადებს ყველა მანქანას, იარაღს და დამატებით მოწყობილობას, რომლებიც საჭიროა სამუშაოების შესრულებისათვის.

Ahmet Akiskaci Gulfidan

5.3 „მეაღნაგე“ პასუხისმგებელია მუშებზე და მათ აღჭურვილობაზე. „მესაკუთრე“ პასუხისმგებელი არ არის ტექნიკისა და მომუშავე პერსონალისაგან გამოწვეულ ზიანზე.

6. „მეაღნაგის“ პასუხისმგებლობა

6.1 „მეაღნაგე“ თავის თავზე იღებს პასუხისმგებლობას აღნაგობის უფლებით გადაცემულ მიწის ნაკვეთზე აღმართოს შენობა-ნაგებობა და განახორციელოს ობიექტზე სამეწარმეო საქმიანობა ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

6.2 „მეაღნაგე“, ამ ხელშეკრულების ფარგლებში პასუხისმგებელია:

6.2.1. მოაწყოს ელექტრო ენერგიისა და წყლის კავშირები, საკანალიზაციო სისტემა, გაზგაყვანილობა და სხვა კომუნიკაციები, რომლის მოწყობისა და გამრიცხველიანების ხარჯები უზრუნველყოს კონტრაქტორმა;

6.2.2. დაიცვას სამშენებლო ობიექტზე უსაფრთხოების წესები;

6.2.3. დადგენილი ნორმების შესაბამისად აწარმოოს მიწის გათხრისა და გატანის სამუშაოები;

6.2.4. უზრუნველყოს შესასვლელი მეტალის კარების/კარებების ჩასმა;

6.2.5. უზრუნველყოს საოფისე და კომერციულ ფართებზე კარებებისა და ფანჯრების ჩასმა;

6.2.6. უზრუნველყოს კიბის უჯრედებისა და კოლიდორების მოპირკეთება;

6.2.7. უზრუნველყოს კედლების გალესვა და იატაკის მოჭიმვა საოფისე ფართებში;

6.2.8. უზრუნველყოს აივანების მოპირკეთება;

6.2.9. უზრუნველყოს მოაჯირების გაკეთება;

6.2.10. უზრუნველყოს შენობის ლიფტებით უზრუნველყოფა;

6.2.11. უზრუნველყოს საწვიმარი და სანიაღვრე სისტემის მოწყობა;

6.2.12. უზრუნველყოს გარე ფასადის გალესვა, თბოიზოლაცია და შეღებვა;

6.3. „მეაღნაგე“ ვალდებულია საოფისე ფართების ჩაბარება უზრუნველყოს თეთრი კარკასის, ხოლო კომერციული ფართების ჩაბარება შავი კარკასის მდგომარეობაში;

6.4. „მეაღნაგე“ ვალდებულია მისი საქმიანობის განხოციელების პროცესში დაიცვას საქართველოს მოქმედი კანონმდებლობითა და საერთაშორისო ნორმებით დადგენილი, გარემოს დაცვის კუთხით არსებული ყველა ნორმა. „მეაღნაგე“ იჩენს განსაკუთრებულ ყურადღებას დეტალების მიმართ, სამშენებლო სამუშაოების დროულად შესასრულებლად.

6.5. „მეაღნაგე“ ვალდებულია მიწის ნაკვეთი გამოიყენოს მხოლოდ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიზნებისათვის და არ მიაყენოს ზიანი გარემოს, მათ შორის მიწას, როგორც ბუნების ელემენტს.

6.6. „მეაღნაგე“ ვალდებულია საქმიანობის განხორციელებისას გაითავლისწინოს საწარმოო ნარჩენებით გარემოზე შესაძლო ზემოქმედების ფაქტორები.

6.7. „მეაღნაგე“ შეუძლია გააფორმოს ხელშეკრულება მესამე პირებთან, რომლებიც ყველა სამუშაოს შეასრულებენ ადეკვატური და აუცილებელი სახით. „მესაკუთრის“ მიმართ მათი ქმედებებით მიყენებულ ზიანზე პასუხისმგებელი არის “მეაღნაგე“.

6.8. მუშახელის ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებაზე, ასევე, პასუხისმგებელია „მეაღნაგე“. სავალდებულოა აუცილებელი სიფრთხილის ზომების მიღება მუშათა ჯანმრთელობისათვის. „მეაღნაგე“ უზრუნველყოფს მუშებს დამცავი მასალებით (ჩაფხუტი, ქამარი, დანსაცმელი, ფეხსაცმელი, საწვიმარი, ბოტები, ხელთათმანები, სათვალეები, თოკები, ჯაჭვები, ელექტრო დამცავი მასალები, კალათები, ყველა სახის ნიშანი, კიბე, მოაჯირი, ჩარჩო, იარაღები, წინსაფარი, გაზის ნიღაბი, პირველადი დახმარების მასალები, საკაცე, ჯანმრთელობისა და

Ahmet AKISKALI Günay Gülfidan

უსაფრთხოების გუნდი და აღჭურვილობა და ა.შ.). მუშებს ჩაუტარდებათ საჭირო ტრენინგები აღჭურვილობის გამოსაყენებლად. თითოეული მუშა ხელის მოწერით ადასტურებს, რომ დაიცავს უსაფრთხოების ზომებს.

6.9. „მეაღნაგე“ პასუხისმგებელია სამუშაოების შესრულების პროცესში მესამე პირებისათვის მიყენებული ზიანისათვის, თუკი ზიანი გამოწვეულია „მეაღნაგე“ ბრალით ან უსაფრთხოების წესების უხეში დარღვევით.

6.10. ”მეაღნაგე” იღებს ვალდებულებას, აღნაგობით დატვირთულ მიწის ნაკვეთზე ”მეაღნაგის” მიერ წარმოებული საქმიანობიდან გამომდინარე დამდგარი გარემოსდაცვითი ან სხვა ზიანისათვის, ”მესაკუთრეზე” მატერიალური ან/და სხვაგვარი პასუხისმგებლობის დაკისრების შემთხვევაში, აანაზღაუროს ”მესაკუთრის” სრული პასუხისმგებლობის თანხა.

6.11. ”მეაღნაგეს” არ აქვს უფლება აღნაგობის უფლების საფუძველზე ასაშენებელი შენობა-ნაგებობის ”მესაკუთრესთან” შეთანხმებულ პროექტში შეიტანოს მნიშვნელოვანი ცვლილებები (სართულების რაოდენობა, სიღრმე, განაშენიანების ფართი და სხვა) ”მესაკუთრესთან” წინასწარი შეთანხმების გარეშე.

6.12. „მეაღნაგე“ ვალდებულია დროულად გადასცეს „მესაკუთრეს“ ამ ხელშეკრულების 1.2 პუნქტით გათვალისწინებული ფართების 50 % საკუთრებაში.

6.13. აღნაგობის უფლების საფუძველზე აშენებულ (ასაშენებელ) შენობა-ნაგებობის საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად მშენებლობაზე და ექსპლუატაციაზე სრული პასუხისმგებლობა და ვალდებულებები ეკისრება ”მეაღნაგეს”.

6.14. პასუხისმგებლობა აღნაგობის უფლებით დატვირთული მიწის ნაკვეთის და აღნაგობის უფლების საფუძველზე აღმართული შენობა-ნაგებობის მართლოზომიერ ექსპლუატაციაზე ეკისრება ”მეაღნაგეს”.

6.15. აღნაგობით გაცემულ მიწის ნაკვეთზე, კომერციული საქმიანობის განხორციელების შედეგად, გარემოზე მიყენებული ზიანისათვის ყოველგვარი სახის პასუხისმგებლობა ეკისრება ”მეაღნაგეს”.

7. მესაკუთრის პასუხისმგებლობა

7.1 „მესაკუთრის“ პასუხისმგებლობა, ამ ხელშეკრულების ფარგლებში, მოიცავს:

7.1.1. „მეაღნაგისათვის“ ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო მიწის ნაკვეთის გადაცემას;

7.1.2. სამშენებლო ნებართვის მოპოვებას;

7.1.3. „მეაღნაგის“ უზრუნველყოფა ფართთან დაკავშირებული მონაცემებით, ტერიტორიის საზღვრების დადგენა და შესრულებული სამუშაოს დროულად მიღებას;

7.1.4. შესრულებული სამუშაოების დროულად მიღების/ჩაბარების უზრუნველყოფას;

7.1.5. „მეაღნაგისათვის“ მიწის გადაცემის მომენტამდე, მიწასთან დაკავშირებული ყველა გადასახადისა თუ დავალიანების სრულად დაფარვას;

7.2. „მესაკუთრე“ ვალდებულია ხელშეკრულების საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში რეგისტრაციის მომენტიდან ვადიან სარგებლობაში გადასცეს ”მეაღნაგეს” 1.1 პუნქტით გათვალისწინებული მიწის ნაკვეთი. მიწის ნაკვეთის გადაცემა ხორციელდება აღნაგობის უფლების საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში რეგისტრაციიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში, მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, სადაც აღწერილი იქნება მიწის ნაკვეთის ფაქტობრივი მდგომარეობა და მხარეთა შენიშვნები.

Ahmet AKISKALI

Cemay Gulfidan

7.3. აღნაგობის უფლების ვადის გასვლისას და აშენებული ფართების „მესაკუთრის“ სახელზე გადაფორმების შემდეგ (რაც დადასტურებულ იქნება საჯარო რეესტრის ამაონაწერის წარდგენითა და მხარეებს შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით) „მესაკუთრე“ ვალდებულია 1.1 პუნქტში აღნიშნული მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლება გადასცეს „მეაღნაგეს“.

8. დამატებითი ხარჯები

8.1. საჭიროების შემთხვევაში, შენობის პროექტის კორექტირების ხარჯებს უზრუნველყოფს „მეაღნაგე“.

8.2. გაზის, დენის, წყლისა და კანალიზაციის სისტემების მოწყობისა და გამრიცხველიანების ხარჯებს უზრუნველყოფს „მეაღნაგე“.

8.3. პროექტის რეკლამირების ხარჯებზე პასუხისმგებელია „მეაღნაგე“.

8.4. მესამე პირებთან იურიდიული დავების წარმოშობის შემთხვევაში, თუ ეს დავები დაკავშირებულია მიწასთან სასამართლო წარმოების ხარჯებს ფარავს შპს „სენა“, ხოლო მშენებლობასთან დაკავშირებულ დავებზე სასამართლო წარმოების ხარჯებზე პასუხისმგებელია შპს „გაზ გრუპი“.

9. სამუშაოების ჩაბარება და დადასტურება

9.1. კონტრაქტი შესრულებულად ჩაითვლება სამშენებლო სამუშაოების დასრულების შემდეგ, „მესაკუთრესა“ და „მეაღნაგეს“ შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით, საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში „მესაკუთრის“ სახელზე „მეაღნაგის“ მიერ აშენებული ბინების 50% გადაფორმებით, ხოლო „მეაღნაგის“ სახელზე „მესაკუთრის“ მიერ აღნაგობის საგნის (მიწა, საკადასტრო კოდი - 01.72.14.034.318) გადაფორმებით.

9.2. მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერის და საჯარო რეესტრის ამონაწერების წარმოდგენის მომენტიდან, ხელშეკრულება ითვლება დასრულებულად.

10. უფლებამოსილების გადაცემა

10.1. ამ კონტრაქტით აღებული უფლებამოსილებების გადაცემა მესამე პირებზე დაუშვებელია, ამის შესახებ ხელშეკრულების მეორე მხარის წინასწარ წერილობითი გაფრთხილების გარეშე.

11. სამუშაო ადგილის დასუფთავება

11.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების დასრულების შემდეგ, „მეაღნაგე“ ვალდებულია გაათავისუფლოს სამუშაო ტერიტორია ნარჩენი მასალებისაგან და ისეთი ნაგებობებისაგან, როგორიცაა, ყაზარმები, საწყობები, სამშენებლო ადგილები. „მეაღნაგე“ ვალდებულია დაასუფთაოს სამშენებლო ადგილისა და შენობის ინტერიერი და უზრუნველყოს მისი საქმიანობის შედეგად წარმოშობილი ნარჩენების მართვის ორგანიზების მკაცრი კონტროლი.

11.2. მესაკუთრის მხრიდან არ ხდება აღნიშნული საქმისათვის „მეაღნაგის“ მიერ გაწეული ხარჯების ანაზღაურება.

Ahmet AKISKALI

12. ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლები

12.1. „მეაღნაგე“ ვალდებულებას იღებს დროულად შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა სამუშაო. „მეაღნაგის“ მიერ სამშენებლო სამუშაოების ზედიზედ 2 (ორი) თვით გაჩერების შემთხვევაში, „მესაკუთრე“ უფლებამოსილია ცალმხრივად გააუქმოს ხელშეკრულება, რის შესახებაც 2 (ორი) კვირით ადრე უნდა აცნობოს „მეაღნაგეს“.

12.2. ამ მუხლის პირველ პუნქტში განსაზღვრული დროით სამუშაოების წარმოების შეჩერება არ წარმოშობს დამკვეთისათვის ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის უფლებამოსილებას, თუკი ეს შეჩერება გამოწვეულია ამ ხელშეკრულების მე-3 მუხლში განსაზღვრული გარემოებებით.

12.3. „მესაკუთრის“ მიერ, ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ხელშეკრულების ცალმხრივად გაუქმებისას „მესაკუთრემ“ „მეაღნაგეს“ უნდა აუნაზღაუროს ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოების ღირებულების 50%. ხოლო მიწაზე საკუთრების უფლება რჩება „მესაკუთრეს“ და „მეაღნაგე“ ყველანაირ უფლებას კარგავს აღნაგობის საგნის მიმართ. ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოს ღირებულების განსაზღვრა უნდა მოხდეს ლიცენზირებული აუდიტორის მიერ.

12.4. ხელშეკრულების შეწყვეტის სხვა პირობები:

ა. ხელშეკრულების ვადის გასვლა;

ბ. თუ მიწის ნაკვეთი ”მეაღნაგისაგან” დამოუკიდებელი მიზეზების გამო განადგურდა და ”მეაღნაგისათვის” შეუძლებელი ხდება ქონებით სარგებლობა;

გ. 3.3. პუნქტით გათვალისწინებული პირობის დადგომისას;

დ. თუ ”მეაღნაგე” დანიშნულებისამებრ არ იყენებს ქონებას;

ე. ერთი-ერთი მხარის მოთხოვნით, თუ მეორე მხარე არსებითად არღვევს ხელშეკრულების პირობებს;

ვ. თუ ”მეაღნაგე” ახორციელებს ისეთ ქმედებებს, რაც იწვევს მიწის ნაკვეთის განადგურებას;

ზ. თუ ”მეაღნაგე” მიწის ნაკვეთზე ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობითა და საერთაშორისო შეთანხმებებით აკრძალულ ქმედებებს;

თ. კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

12.5. აღნაგობის უფლების შეწყვეტისათვის საჭიროა მესაკუთრის თანხმობა.

13. კონტრაქტის დანართები

13.1. კონტრაქტში ცვლილებები და დამატებები ხორციელდება მხარეთა ორმხრივი წერილობითი შეთანხმების საფუძველზე, რომელიც დანართის სახით უნდა დაერთოს აღნიშნულ ხელშეკრულებას და ეს დანართები განიხილება, როგორც კონტრაქტის განუყოფელი ნაწილი. ცვლილებებისა და დამატებების სხვაგვარი წესით განხორციელება დაუშვებელია და ასეთ შემთხვევაში კონტრაქტის ყველა მუხლი რჩება უცვლელად.

13.2. ნებისმიერი შეთანხმება, დაკავშირებული ამ ხელშეკრულების ცვლილებასთან, დგება წერილობითი ფორმით და საჭიროებს ორივე მხარის მიერ ხელმოწერას.

Ahmet AKISKALI

Cihan Gulfidan

14. დავების მოგვარება

14.1. მხარეები მიიღებენ ყველა შესაძლო ზომას, რათა მათ შორის წარმოშობილი უთანხმოება და დავა გადაწყვიტონ ურთიერთშეთანხმებით.

14.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავას განიხილავს სასამართლო საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

15. დამატებითი დებულებები

15.1. მხარეები პასუხს აგებენ მათ მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისასთვის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

15.2. ის ურთიერთობები, რომლებიც არ რეგულირდება წინამდებარე ხელშეკრულებით, დარეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

15.3. მხარეები კისრულობენ ვალდებულებას არ გაახმაურონ კონფედენციალური ცნობები, რომელიც მათთვის ცნობილი გახდება ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში.

15.4. მხარეები ვალდებული არიან მისამართებისა და რეკვიზიტების შეცვლის თაობაზე ერთმანეთს წერილობით აცნობონ 15 დღის ვადაში.

15.5. მხარე, რომლის მიმართაც დაიწყება გაკოტრების საქმის წარმოება, ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს აღნიშნულის შესახებ.

15.6. ხელშეკრულება ძალაში შედის, სანოტარო წესით დამოწმების და საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში რეგისტრაციის მომენტიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ ვალდებულებების სრულ შესრულებამდე.

15.7. მეაღნაგე ვალდებულია მოახდინოს ხელშეკრულების საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში რეგისტრაცია და ხელშეკრულების სანოტარო წესით დამოწმება.

15.8. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ოთხი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი რჩება სანოტარო ბიუროში, ერთი მეაღნაგეს, ერთი მესაკუთრეს და ერთი ინახება საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში.

მხარეთა ხელმოწერები:

მესაკუთრე

შპს „სენა“ [ს/ნ: 406180458]

დირექტორი

გუნაი გულფიდან

[ს.ნ.: U 03413993, 01791020816]

მეაღნაგე

შპს „გაზ გრუპი“ (ს.ნ.: 404534937)

დირექტორი

აჰმეთ აქისალი

[პ.ნ.: 01901135596]

KAT KARŞILIĞI MÜTEAHHİTLİK SÖZLEŞMESİ

Tiflis

30/04/2019

Bir taraftan Sena Ltd. Şti adına müdürü Günay Gülfidan, (işbu sözleşmede bundan sonra "**arsa sahibi**" olarak geçecektir) ve diğer taraftan Gaz Grup Ltd Şti adına temsilcisi ve müdürü Ahmet Ahıskalı (işbu sözleşmede bundan sonra "**yüklenici**" olarak geçecektir) Gürcistan mevcut kanunlarına ve özgür irade temelinde aşağıdaki şekilde sözleşme yapıyoruz.

1. Sözleşmenin Konusu

1.1. Arsa sahibi Sena LtdŞti'nekayıtlı olan Tiflis ili, Digomi köyünde 01.72.17.034.318 tapu kodlu 1020 m^2, 04.06.2018, 892018479493 tapu sicil tarihli ve numaralı arsayı devredecek, yüklenici ise kat karşılığı hakkı ile arsayı geçici kullanım için alacaktır.

1.2. Yüklenici belirtilen arsada, biri (Digomi otoyolu tarafında) bodrum katı ve4 kat ticari kısım ve diğeri (Digomi köyü yolunda) 9 katlı ofis kısmı olmak üzere iki adet bina inşaatı yapacaktır. Projede ticari kısım 2051.4 m^2; ofis kısmı 1851.7 m^2, bodrum kat 495 m^2, ve balkon 724,2 m^2 den oluşmaktadır. Bitirilen iş, arsa sahibine teslim edilirken ofis kısmı beyaz karkas, ticari kısım ise siyah karkas olarak verilecektir.

2. Kat Karşılığının Bedeli ve Hesap Görme Yöntemi

2.1. İşbu sözleşme ile belirlenen Kat Karşılığı Bedeli aylık KDV hariç 100 laridir. İnşaatın tamamlanmasıyla birlikte taraflar arasında takas olacaktır. Yani, Arsa sahibi kendi mülkiyetinde olan arsayı yükleniciye devredecek, yüklenici inşa edilmiş alanların %50 sini arsa sahibinin mülkiyetine verecektir.

2.2. Bu maddenin birinci bendi ile göz önünde bulundurulan alanların kesinleştirilmesi inşaatının bitiminden sonra taraflar arasında yapılacak yazılı anlaşma ile olacaktır.

2.3. Arsa sahibi, teslim edilen alanlar kendi adına geçer geçmez, kat karşılığı konusu olan arsayı (1020m^2) (tapu kodu: 01.72.14.034.318) yükleniciye devretmekle yükümlüdür.

3. Sözleşmenin Geçerlilik Süresi

3.1. İşbu sözleşmenin geçerlilik süresi 4 takvim ayıdır. 2 aylık gecikme bu maddenin ihlali anlamına gelmeyecektir. Bu madde ile belirlenen süre GWP Ltd Şti den inşaata başlamak için gerekli iznin alınmasında itibaren sayılmaya başlayacaktır.

3.2. Sözleşme, yüklenici tarafından inşa edilen alanların %50 nin arsa sahibine, arsa sahibinin de arsayı yükleniciye devretmesiyle birlikte tamamlanmış sayılacaktır. Her iki taraf için mülkiyet hakkı tapu kaydı ile onaylanacaktır.

3.3. Tiflis'te havanın +5 dereceden düşük olduğu, yağmurlu ve karlı olduğu günler bu süreden çıkarılacaktır. Çalışılmayan bu günlerin sayısı çalışma zamanına eklenecektir.

3.4. Arsanın bulunduğu bölgede meydana gelen sel, doğal afet, yangın, ekonomik kriz veya diğer fors-majör gibi çalışmanın mümkün olmadığı durumlarda, bu durumun ortadan kalkması için geçen süre kadar günler anlaşma süresine eklenir.

3.5. Toprağın kazılması sürecinde telefon, internet, elektrik kablosu, gaz, kanalizasyon ve su borusu gibi hatların bölgeden temizlenmesi gerektiği durumlarda, özel ve resmi kurumlardan (belediye, elektrik, su kanalizasyon vb.) gerekli izinlerin alınmasının planlanan zamandan daha uzun sürmesi gibi göz önünde bulundurulmayan

sebeplerden dolayı inşaatın gecikmesi durumunda da bu süreler inşaatının bitirme süresinden düşülür.

3.6. İnşaatı bitirme süresi yetkili organlar tarafından durdurulan süreyi içermez. Bu süreler inşaatı bitirme süresine eklenir.

3.7. Yüklenici kendi hatasından dolayı arsa sahibine olan zararı karşılamakla yükümlüdür.

4. Gerçekleşecek Çalışmaların Planlanması

4.1. Sözleşme ile göz önünde bulundurulan çalışma grafiği ve detayları yüklenici tarafından arsa sahibinin onayı ile yapılacaktır.

4.2. Yüklenici işbu sözleşme ve ekleri ile göz önünde bulundurulan çalışmaları tam ve eksiksiz olarak gerçekleştirmekle sorumludur. Proje yapılırken yüklenici tarafından yapılan hatalardan dolayı arsa sahibinin zarara uğraması durumunda yüklenici bu zararı karşılayacaktır.

5. Malzemeler, Araç-Gereç ve İşçilik

5.1. İnşaatta kullanılacak bütün malzemeler yüklenici tarafından sağlanacaktır.

5.2. Sözleşme imzalandıktan sonra inşaatın yapılması için gerekli olan bütün araç gereç, alet veya ek düzenekler yüklenici tarafından hazırlanacaktır.

5.3. Yüklenici işçiler ve onlar için gerekli araç gereçten sorumludur. Arsa sahibi, teknik elemanlar veya işçiler tarafından meydana gelen zarar-ziyandan sorumlu değildir.

6. Yüklenicinin Sorumlukları

6.1. Yüklenici işbu sözleşmeye uygun olarak kat karşılığı hakkı ile verilen arsada inşaat yapma ve ticari faaliyet yürütme sorumluluğunu üstlenir.

6.2. Yüklenici işbu sözleşme ile:

6.2.1. Elektrik, su, kanalizasyon sistemi, gaz ve diğer sistemlerin çekilmesi ve sayaçların takılması ile sorumludur. Bunun için yapılan harcamalar yüklenici tarafından karşılanır.

6.2.2. İş güvenliğini almakla sorumludur.

6.2.3. Belirlenen normlara uygun olarak hafriyatı çıkarmak ve taşımakla sorumludur.

6.2.4. İnşaata giriş için metal kapı yapmakla sorumludur.

6.2.5. Ticari alan ve ofisler için pencere ve kapı takmakla sorumludur.

6.2.6. Merdiven dairesi ve koridorların örülmesi ile sorumludur

6.2.7. Ofislerin duvarlarının sıvanması ve zeminin döşenmesi ile sorumludur

6.2.8. Balkonların örülmesi ile sorumludur

6.2.9. Korkulukların yapılması ile sorumludur

6.2.10. Binanın asansörünün yapılması ile sorumludur

6.2.11. Yağmur ve drenaj sisteminin yapılmasından sorumludur

6.2.12. Binanın cephesinin sıvanması, boyanması ve izolasyonundan sorumludur

6.3. Yüklenici ofis alanlarının beyaz karkas, ticari alanların siyah karkas olarak teslim edilmesinden sorumludur

6.4. Yüklenici, çalışmalarını gerçekleştirme sürecinde Gürcistan'daki mevcut kanunlarla ve uluslararası normlarla belirlenmiş çevre koruma ile ilgili bütün standartlara uyacaktır. Yüklenici inşaatı zamanında bitirmek için detaylara özellikle önem verecektir.

6.5. Yüklenici arsayı sadece bu sözleşmede göz önünde bulundurulan amaçlar doğrultusunda kullanacaktır, çevreye ve doğanın elementi olan toprağa zarar vermeyecektir.

6.6. Yüklenici çalışmalarını gerçekleştirirken üretim artıklarının çevreye olası etkilerini göz önünde bulundurmakla sorumludur.

6.7. Yüklenici tüm işleri yeterli ve gerekli şekilde yapabilecek 3. şahıslarla sözleşmeler yapabilir. Arsa sahibine karşı 3. şahıslar tarafından oluşacak zarardan yüklenici sorumludur.

6.8. İşçilerin sağlığı ve iş güvenliğinden yüklenici sorumludur. İşçilerin sağlığı için iş güvenliği tedbirlerinin alınması zorunludur. Yüklenici işçilerin güvenliği için gerekli malzemeleri (Kask, kemer, ayakkabı, yağmurluk, bot, eldiven, gözlük, halat, zincir, elektrikten koruyucu malzemeler, sepetler, her türlü uyarı işaretleri, merdiven, parmaklıklar, çerçeve, aletler, önlük, gaz maskesi, ilk yardım malzemeleri, sağlık ve güvenlik ekipmanları ve donanımları, vb.) temin eder. İşçilere araç gereçlerin kullanımı için gerekli eğitimi verir. Her bir işçi iş güvenliğine uyacağına dair imza atarak onaylar.

6.9. Yüklenici, inşaat çalışması sürecinde kendi hatasından veya iş güvenliğinin ihlalinden dolayı 3. şahısların zararı olursa bu zararın karşılanmasından sorumludur.

6.10. Yüklenici,kat karşılığı olarak alınan arsada yüklenici tarafından yapılan çalışmalardan kaynaklanan çevre koruma veya başka bir zarar ile ilgili maddi veya benzeri bir sorumluluğun arsa sahibine yüklenmesi durumunda, arsa sahibine yüklenen bu sorumluktan kaynaklanan ödemeyi karşılamakla yükümlüdür.

6.11. Yüklenicinin, arsa sahibi ile önceden anlaşmadan, kat karşılığı temelinde inşa edilecek binanınarsa sahibi ile mutabık kalınan projesinde önemli değişiklikler (katların sayısı, binanın derinliği, binanın oturum alanı gibi) yapma yetkisi yoktur.

6.12. Yüklenici bu sözleşmenin 1.2 maddesinde belirlenen alanların %50 sini zamanında arsa sahibinin mülkiyetine vermekle sorumludur.

6.13. Kat karşılığı inşaat hakkı temelinde yapılan (yapılacak) binaların Gürcistan'daki mevcut kanunlara uygun olarak inşa etme ve kulanım ruhsatı sorumluluğu ve yükümlülüğü tamamen yükleniciye aittir.

6.14. Yüklenici kat karşılığı hakkı ile verilen arsanın ve kat karşılığı temelinde inşa edilecek binaların adil kullanım sorumluluğunu üstlenir.

6.15. Kat karşılığı verilen arsada ticari faaliyet gerçekleştirilmesi sonucu çevreye verilen zarar için her türlü sorumluluk yükleniciye aittir.

7. Arsa Sahibinin Sorumlukları

7.1. Bu sözleşme ile Arsa sahibinin sorumlulukları aşağıdaki şekildedir:

7.1.1. Arsayı yükleniciye maddi ve yasal olarak eksiksiz devretmesi

7.1.2. İnşaat ruhsatının alınması

7.1.3. Yükleniciye arsa ile ilgili bilgilerin sağlanması, arsanın sınırlarının belirlenmesi ve bitirilen işleri zamanında teslim alması

7.1.4. Bitirilen işlerin devir tesliminin zamanında sağlanması

7.1.5. Yükleniciye arsanın devredilmesi zamanına kadar olan arsa ile ilgili bütün vergi ve borçların tamamen ödenmesi

7.2. Arsa sahibi,sözleşmenin Ulusal Kamu Sicil Dairesine kaydedilmesinden sonra bu sözleşmenin 1.1 maddesinde belirtilen arsayı yükleniciye süreli kullanım için devretmekle sorumludur. Devir işlemi, arsanın su andaki durumu ve tarafların

şerhlerinin de belirtildiği Ulusal Kamu Sicil Dairesinde kayıt edildikten sonra 10 gün içerisinde gerçekleştirilecektir.

7.3. Kat karşılığı hakkının süresinin dolması ve inşa edilen alanların arsa sahibinin adına kaydedilmesinden sonra (bu tapu sicil kaydını sunarak ve taraflar arasında devir-teslim tutanağı düzenlenerek belgelenecek) arsa sahibi 1.1 maddede belirtilen arsanın mülkiyet hakkını yükleniciye devretmekle sorumludur.

8. Ekstra Masraflar

8.1. İnşaat projesinde düzeltme gerektiği zaman yapılan harcamalar yükleniciye aittir.

8.2. Gaz, elektrik, su ve kanalizasyon sistemlerinin çekilmesi ve abonelik harçları yüklenici tarafından karşılanır.

8.3. Projenin reklam masrafları yüklenici tarafından karşılanır.

8.4. 3. şahıslarla hukuki davaların olması durumunda, eğer bu davalar arsa ile ilgili ise mahkeme masraflarını Sena Ltd Şti üstlenir, eğer dava inşaatla ilgili ise mahkeme masraflarından Gaz Grup Ltd Şti sorumludur.

9. Yapılan İşlerin Devir Teslimi ve Onaylanması

9.1. İnşaat çalışmalarının tamamlamasından sonra, yüklenici ve arsa sahibi arasında devir teslim tutanağı düzenlenmesi, Ulusal Kamu Sicil Dairesinde arsa sahibi adına yüklenici tarafından yapılan binanın % 50 nin kaydedilmesi ve yüklenici adına arsa sahibinin kat karşılığı sözleşmesinin konusu arsayı (tapu kodu:01.72.14.034.318) devretmesiyle sözleşme yerine getirilmiş olarak sayılacaktır.

9.2. Devir teslim tutanağının imzalanması ve tapu sicil kaydının sunulması anından itibarensözleşme yerine getirilmiş sayılır.

